



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/19

ქ. თბილისი

29 აპრილი 2021


სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიში 2020 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2021 წლის 27 აპრილის №0000415827 წერილის, სტუ-ის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის 2021 წლის 26 აპრილის №01-04-08/13 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 29 აპრილის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) სტუ-ის აკადემიური საბჭოს მონაწილეობით დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში;
2. ცნობად იქნეს მიღებული სტუ-ის შიდა აუდიტის სამსახურის ანალიზი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2020 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შესახებ;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოკიძე